იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

სპეშიალის სპა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 12 (130)

აგვისტო,

1965 წელი



ბორჯომი დღეს

6 მილიონი სახელმძღვანელო

ცოტა დრო დარჩა პირველ სექტემბრამდე. უფროსებმა კი უკვე იზრუნეს იმისათვის, რომ სასწავლო წლის დამდეგისათვის მოსწავლეებს ჰქონდეთ საჭირო სახელმძღვანელოები.

მომავალი სასწავლო წლისათვის ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს 6 მილიონამდე სახელმძღვანელო. ნახევარი — 105 დასახელების სახელმძღვანელო განკუთვნილია ქართული სკოლების მოსწავლეთათვის. მათ შორის ბევრი ახალია.

ხელახლა გამოვიდა უცხო ენების სახელმძღვანელოები მე-8—10 კლასებისათვის. გამომცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა მ. კომის „სსრ კავშირის ისტორია“ მეათე კლასისათვის, ვ. დანკოვიჩის „ფიზიკის ამოცანათა კრებული“ და სხვ. ქართულ ენაზე ითარგმნა ე. და ე. კოჩეტკოვების „ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები“.

მოსწავლეებმა მიიღეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახელმძღვანელოები. მათ შორის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი „ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, გ. შალამბერიძის „ქართული მართლწერა“, მ. ვიგოდსკის „ელემენტარული მათემატიკის ცნობარი“, გ. გეხტმანის „გეოგრაფიული ცნობარი“ და სხვ.

უყველაზე ნორჩ მოსწავლეთათვის — რუსული სკოლების პირველ კლასელთათვის გამოიცა რუსული ენის ფერადოვანი სახელმძღვანელო. ხელახლა გამოიცა „ფიზიკური გეოგრაფია“ მეხუთე კლასელთათვის. ამ სახელმძღვანელოში პირველად შეიტანეს მასალები, რომლებიც მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის მიღწევებს კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში.

უახლესი ნიმუშების ჩარხები

ჩარხმშენებლობაში ერთ მიკრონამდე სიზუსტით დეტალის დამუშავება იშვიათი შემთხვევა როდია. ამისათვის საჭიროა ლითონის მილიმეტრის მეათასედი ნაწილის სისქის ფენის აღება. მაგრამ დამუშავებაში არავითარი შეცდომა რომ არ მოხდეს, საჭიროა სპეციალური ჩარხები. ამ ჩარხების შექმნაზე მუშაობენ ახლა ფბილისის პრეცეზიული სახეხი ჩარხების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები. მუშაობის მსვლელობის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს უამბო საკონსტრუქტორო ბიუროს გამგემ ს. თათრიშვილმა.

— წელს, — თქვა მან, — აპროექტებენ ჩარხების ათ უახლეს სახეობას, რომლებიც ძირითადად გათვალისწინებულია ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობისა და ზუსტი მანქანათმშენებლობისათვის. ამ ჩარხებს საფუძვლად უდევს ერთიანი საკონსტრუქტორო მოდელი. გათვალისწინებულია 70—80 პროცენტით მოახდინონ დეტალებისა და კვანძების უნიფიცირება. ეს ერთიორად შეამცირებს ჩარხების წარმოების თვითღირებულებას. ამავე დროს ისინი საგულდაგულოდ იქნება მოპირკეთებული.

ახალი ჩარხების ტექნიკურ შესაძლებლობათა შესახებ დაწვრილებით ლაპარაკს ბევრი დრო დასჭირდება. აღვნიშნავთ მხოლოდ დეტალების დამუშავების დიდ სიჩქარესა და სიზუსტეს, რაც მიკრონის ნაწილებით იზომება. კონსტრუქტორების გაანგარიშებით, ახალი ავტომატური ჩარხების ათივე მოდელი მეტოქეობას გაუწევს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს, ხოლო ზოგიერთი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით გადააჭარბებს კიდეც მათ.

მანამდე, სანამ მოწესრიგდება პროდუქციის სერიული წარმოება, შეიქმნება ჩარხების საცდელი ნიმუშები, რომლებსაც საკონსტრუქტორო ბიუროს ექსპერიმენტულ ლაბორატორიებში გამოცდიან.

სხვადასხვა მოდელის ჩარხების 65 პროექტი შეადგინეს კონსტრუქტორებმა ხუთი წლის განმავლობაში, აქედან 45 უკვე საწარმოებშია.

ნოვატორი

ქუთაისი. ქვიტირელი კოლმეურნის შვილი გურამ ჩოგოვაძე შვიდი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა საავტომობილო ქარხანაში სამუშაოდ. ხარატ ბ. კეზევაძის დახმარებით იგი მალე დაეუფლა სახარატო ჩარხზე მუშაობას, წარმატებით აითვისა სამარჯვების დამზადების რთული საქმე და მთელ უბანზე დაწინაურდა.

იგი დიდხანია მუშაობს ნახევრადავტომატურ სახარატო ჩარხზე, მაგრამ ამ ჩარხს არათუ კაპიტალური, არამედ მიმდინარე შეკეთებაც კი არ დასჭირვებია. ამას ჩოგოვაძემ ჩარხის გულმოდგინე მოვლით მიაღწია.

ქარხანაში საყოველთაო მოწონებით სარგებლობს მის მიერ დამზადებული სამარჯვი ავტომობილის დეტალების გამარტივებული დაცენტრებისათვის. **ეს სამარჯვი** უკვე გაუკეთდა ქარხნის ყველა სახარატო ჩარხს. ამჟამად გურამი მუშაობს ისეთი სამარჯვის შესაქმნელად, რომელიც ავტომობილის დეტალების **რადიუსებს სახარატო ჩარხზე** დაამუშავებს ნახევრადავტომატურად და გაათმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

ნოვატორი **ხარატი გურამ ჩოგოვაძე** ავტომექანიკური ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის სტუდენტია. სამ თვეში დაიცავს სადიპლომო ნაშრომს.

ლაბორატორია ეხმარება მეცნიერებს

ქუთაისი. ბევრი მადლობის წერილი მოდის ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის ქ. ჯაოშვილის სახელზე. წერილებს წერენ ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებმაც დისერტაცია დაიცვეს ქარხნის ლაბორატორიის დახმარებით.

ქარხნის ლაბორატორიის ხშირი სტუმარია თბილისის მეტალურგიული ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი დავით ებანოიძე. ცენტრალური ლაბორატორიისა და ტექნიკური განყოფილების მუშაკებმა დახმარება აღმოუჩინეს მას თუჯის სხმულის მოწვის საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტაში, რომელიც მისი სადისერტაციო შრომის თემა იყო. ამ თემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქარხნისათვის.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად სხმულების მოწვა 60 საათიდან 28 საათამდე შემცირდა, რაც ყველაზე ნაკლებ დროდ ითვლება სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამსხმელო წარმოებაში. ქარხნის მთავარი მეტალურგის თ. გენდეხაძის აქტიური მონაწილეობით ჭედად სამჭრელში ოთხ ღუმელზე მოეწყო თუჯის მოწვა ახალი ტექნოლოგიით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საამქროს მწარმოებლობა.

ლაბორატორიამ დიდი დახმარება გაუწია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ფ. თავაძეს, უფროს მეცნიერ მუშაკს მ. ლანჩავას და ავტოქარხნის მთავარ მეტალურგს თ. გენდეხაძეს. ისინი ერთად მუშაობდნენ ბოვის ღარში ელექტროდების მეოხებით გამდნარი ლითონის ტემპერატურის ასაწევად.

ეს მნიშვნელოვანი სიახლეა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს სამსხმელო წარმოებაში.

ამჟამად ქარხნის ლაბორატორიაში მუშაობს მეტალურგიული ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ვაჟა ხიმშიაშვილი. მისი სადისერტაციო შრომის თემაა ცეცხლგამძლე ჭარბნიკელიანი ლითონების შეცვლა უნიკელო ცეცხლგამძლე ლითონით. ლაბორატორიის მუშაკებმა ავტორს ამ შრომისათვის მოუმზადეს ნახაზები, მოუწყვეს კონსულტაციები, დაუმზადეს ხელსაწყოები და ინსტრუმენტები. ცდის წარმატებით განხორციელების მიზნით ლაბორატორიაში სასწრაფო წესით მოეწყო მაღალი სიხშირის დენით სადნობი ღუმელი.

ტექნიკური ბიურო


ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ტექნიკური დანორმების საზოგადოებრივი ბიურო პირველად სალოკომოტივო დეპოში შეიქმნა. მალე ასეთი ბიურო უკვე რვა იყო — შვიდი საამქროსი და ერთიც საზოგადო დეპოსი. ბიუროს წევრებმა იმით დაიწყეს, რომ გამოარკვიეს წარმოების „ვიწრო“ ადგილები. მათ შეიმუშავეს ლოკომოტივების მოცდენის, სამუშაო დროის უნაყოფოდ ხარჯვის აღმოფხვრის ღონისძიებანი, შეადგინეს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები. ზეინკალმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა კ. გვენცაძემ კოლექტივის სახელით წამოაყენა წინადადება, რომლის შესაბამისად 12 პროცენტით მცირდება მოტორღერძის სკისრების შეცვლის დრო.


სხივი „ტიტესტერი“

გორის მრეწველობის ავტომატიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ოპტიკურ ხელსაწყოთა ლაბორატორიის გამგის მირიან ქოშუაშვილის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს ჩაის ფოთლის ხარისხიანობის განმსაზღვრელი მჩქარობლური სპექტროფოტომეტრული მეთოდი. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ქიმიური ანალიზი, რომელიც სინათლის სხივის საშუალებით ხორციელდება.

ჩაის ხარისხი დამოკიდებულია ნორჩი ყლორტების სინაზეზე. ტიტესტერი ფოთლების სინაზეს განსაზღვრავს ფოთლის ღეროზე ფრჩხილის დაჭერით. მაგრამ ეს მეთოდი შრომატევადია, ნაკლებად ზუსტია და, რაც მთავარია, სუბიექტურია.

მ. ქოშუაშვილის ექსპრეს-მეთოდი საშუალებას იძლევა სწრაფად და ობიექტურად განვსაზღვროთ ჩაის ფოთლის ხარისხი. მეცნიერი სპირტის ხსნარში სრესს ჩაის ფოთოლს. სპირტში გადადის თითქმის ყველა ნივთიერება, რომელიც ყლორტშია. ამ ხსნარში სხივის გატარებით ეკრანზე გამოჩნდება ნაკლებად ინტენსიური, სუსტი სხივი. ეს ხდება იმის გამო, რომ სპირტში გახსნილი შეღებრები შთანთქავენ სინთლის ნაწილს. ამ დროს თითოეული ქიმიური ნივთიერება იძენს გარკვეულ ფერს: წითელს, იისფერს, ყვითელს, ნარინჯისფერს ან გამოსცემს უხილავ ულტრაიისფერ სხივებს. მკვლევარი სინათლის შესუსტების მიხედვით მსჯელობს, თუ რომელი შეღებრებია ხსნარში. გარკვეული ფერის სხივის შთანთქმის ხარისხი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნივთიერების რაოდენობა.





მძვინვარებს უჩვეულო ძალის შტორმი. ირგვლივ ხშირი ნისლია. გემებიც მაინც განაგრძობენ გზას. რამდენი ხომალდი ასცდენია ასეთ ჯოჯოხეთურ ამინდში გზას, რამდენს განუცდია მარცხი და წასულა ოკეანის ფსკერისაკენ.

მეცნიერები და კონსტრუქტორები მუშაობენ იმაზე, რომ ეს მარცხი სამუდამოდ აიცილონ თავიდან. ახლა გემები ადვილად აუქცევენ გზას ერთმანეთს ბურუსში და ქარიშხალში, დღისით და ღამით.

უყველავე ეს შესაძლებელი გახდება ორიგინალური ხელსაწყოს საშუალებით, რომელსაც გამოუშვებს აფხაზეთის ერთ-ერთი ახალგაზრდა საწარმო — სოხუმის ქარხანა „სოხუმხელსაწყო“. გემის იმპულსური გვერდამრიდი „სირო-18უ“, რომელიც შექმნეს საწარმოს ინჟინრებმა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტისა და რსფსრ საზღვაო ფლოტის ცენტრალური კონსტრუქტორო ბიუროს მეცნიერ მუშაკებთან თანამშრომლობით, გადაცემულია სერიულ წარმოებაში.

სურათებზე: მარჯვნივ — ექსპერიმენტული საამქროს მთავარი ინჟინერი ქ. მიქაძე (მარცხნივ) და მ. ბლუაშვილი გემის ახალი გვერდამრიდის მაკეტის ბაზე; ქვემოთ — გემის ახალი გვერდამრიდი „სირო-18უ“-ს კომპლექტი.

შენდება, იზრდება საქართველოს დედაქალაქი



ეს მრავალბინიანი სახლი საბურთალოზე შენდება. აქ რამდენიმე ხნის წინათ ტრიალი მინდორი იყო, დღეს კი ყოველ ნაბიჯზე ხარაჩოებია...

მშრომელებისათვის...

ფერებით მდიდარია გარდაბნის სახფხულო პალიტრა. ოქროსფრად ელვარებს პურის ყანები, ქარი აშრიალებს სიმინდის მუქ-მწვანე ფოთლებს, ცისარტყელის ფერებად ლივლივებს ბაღებში გარგარი, ქლიავი, ატამი. გარდიგარდმო გადაუსერავთ დედამიწა ცისფერ სარწყავ არხებს.

ეს ის გარდაბანია, სადაც გვალვით იყო დახეთქილი მიწა, სადაც ზოგჯერ იმდენ მოსავლასაც კი ვერ იღებდნენ, რამდენსაც თესავდნენ.

44 ათას ჰექტარს რწყავს სარწყავი არხი. წყალმა და ადამიანის შრომამ ფერი უცვალა უზარმაზარ სივრცეებს. სხვადასხვა კულტურისათვის ათვისებულია ათასობით ჰექტარი მიგდებული მიწა. შეიქმნა რვა მძლავრი საბჭოთა მეურნეობა. ახლა გარდაბნის რაიონში 20 მსხვილი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის რძით, ხორცით, ბოსტნეულით, ხილითა და ყურძნით მომარაგების საქმეში.

ახლა სოფლის ქუჩები ცარიელია. ალაობაა. ვისაც მუშაობა შეუძლია, მინდვრებში, ბოსტნებსა და ბაღებში გასულა. შარაგზებსა და გზატკეცილებზე მიჰქრიან შესანიშნავი ხორბლით — „უფხო-I“-ით დატვირთული ავტომანქანები. სახელმწიფო ბეღლებში უკვე მიაქვთ მარცვალი. რუისბოლოს, გარდაბნის, სამგორის, ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობებმა 200 პროცენტით შეასრულეს თავთავიანი კულტურების ჩაბარების გეგმები.

ბევრი საქმე აქვთ მებოსტნეებს. უხვი მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ დროზე უნდა აიღონ, გადაამუშაონ, მომხმარებელს გაუგზავნონ. განსაკუთრებით უხვია პამიდორის მოსავალი. საქმე ის არის, რომ რაიონში ფართოდ იყენებენ ბოსტნეულის თესვა-მოყვანის პრაქტიკით გამართლებულ მეთოდებს. პამიდორის ლენტურ-შპალერული გაშენება პალოების გამოყენებით შესანიშნავ შედეგს იძლევა — მოსავალი ერთნახევარჯერ და ორჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ. ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 300—350 ცენტნერ ნაყოფს იღებენ. მებოსტნეობაში იყენებენ სამანქანო ტექნიკას, რომელიც ამსუბუქებს ადამიანის შრომას და აიაფებს პროდუქციას. გეგმით რაიონმა უნდა დაამზადოს 205 ათასი ცენტნერი პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, სტაფილო, სუფრის ჭარხალი და სხვა ბოსტნეული, მშრომელებმა კი გადაწყვიტეს დაამზადონ სულ ცოტა 250 ათასი ცენტნერი.

წელს ამინდმა არც მებაღეებს შეუწყო ხელი. მაგრამ მთელი რიგი მეურნეობის ბაღებში ხილის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჭირავს, განსაკუთრებით სუფრის ყურძენს — შასლას, განჯურს, ბულგარს, რომლებსაც მთელი ვენახების 70 პროცენტი უჭირავს.

ყოველდღე საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებიდან თბილისსა და რუსთავში მოდის რძით სავსე ავტოცისტერნები. წლის დამდეგიდან აქედან გაიგზავნა რვა მილიონამდე კილოგრამი რძე, 1.700 ათასი კილოგრამი ხორცი, 17 მილიონი კვერცხი. მეცხოველეობის პროდუქციის ნაკადი სულ უფრო იზრდება. პირუტყვი უზრუნველყოფილია სხვადასხვა საკვებით. საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დაამზადეს 10 ათასი ტონა თივა და 2.500 ტონა ნამჯა. თივა გრძელდება, და ფერმები კიდევ ბევრ უხეშ საკვებს მიიღებენ. მომდინარეობს ჭყონტლი სიმინდის დასილოსება. საკვების მომმარაგებელმა ბრიგადებმა ვალდებულება იკისრეს ჩადონ 100 ათასი ტონა სილოსი, 18 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყველა საქმეში იგრძნობა, რომ ცდილობენ მისცენ მშრომელებს რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

პროფესორო, მიიღეთ ექიმი!

რამდენიმე ხნის წინათ გაზეთები იუწყებოდნენ: „აბობოქრებულ ზღვაში, თბომავალ „ყაზბეგზე“ ხომალდის მეორე შტურმანის მეუღლეს თამარ კაროიანცს ვაჟი შეეძინა. ბავშვს მორისი დაარქვეს ფრანგი ხალხის გმირი შვილის მორის ტორეზის პატივსაცემად...“

...თბომავალ „ყაზბეგიდან“ ფოთის ნავსადგურში მიიღეს სიგნალი „სოს“. „გემზე მშობიარეა. გვჭირდება ექიმი“.

ქალაქის პოლიკლინიკის ექიმი ოთარ კვინტრაძე ლოგინიდან ააყენეს, ნავსადგურში მას კატარღა ელოდა.

კატარღა ახლოს ვერ მივიდა ხომალდთან, ტალღები ბობოქრობდნენ. თბომავლიდან ჩამოუშვეს თოკის კიბე, ოთარი ძლივს მისწვდა კიბის ქვედა საფეხურს, აიწია, მეორე საფეხურზე ავიდა... შემდეგ კი მეზღვაურთა მძლავრმა ხელებმა აიყვანეს ზემოთ.

დილით თამარ კაროიანცს ვაჟი შეეძინა.

ოთარ კვინტრაძემ ხუთი წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და ხარკოვის ოლქის საკვანძო სადგურ კუპიანსკის საავადმყოფოში წავიდა სამუშაოდ. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ქირურგის სპეციალობას დაუფლებოდა, მაგრამ საავადმყოფოში გინეკოლოგები აკლდათ, და იგი გინეკოლოგი გახდა.

ერთი წლის შემდეგ 26 წლის ექიმი უკვე განყოფილების გამგე იყო, მორიგეობდა სასწრაფო დახმარების სადგურში.

თებერვლის ერთ-ერთ სუსხიან ღამეს „სასწრაფომ“ მოულოდნელი გამოძახება მიიღო: მდინარეში ყინულებს შორის გოგონა იხრჩობოდა. ექიმი ოთარ კვინტრაძე გაემურა ბავშვის დასახმარებლად.

ნაპირზე ხალხი ირეოდა. ქალები ხელებს იმტვრევდნენ და ვაჟკაცობისათვის აქეზებდნენ მამაკაცებს. ოთარმა ერთი კი გაიფიქრა, მაშველ კატარღას გამოვიძახებო, მაგრამ იქვე გადაწყვიტა, რომ იგი ვერ გააღწევდა ყინულებში.

წყალში შევიდა, გაცურა. რამდენიმე წამით გრძნობა დაკარგა. მხოლოდ მაშინ იგრძნო თავი კარგად, როცა გოგონას მოჰკიდა ხელი. გაფითრებული გამოვიდა ნაპირზე და მაშინვე ბავშვს დაუწყო მოსულიერება. საავადმყოფოში თვით ექიმი გახდა პასაყვანი.

ოთარ კვინტრაძის მამაცობის ამბავი მთელმა ოლქმა გაიგო. სამი წლის შემდეგ ოთარი თბილისში დაბრუნდა და ახალი დანიშნა მიიღო — ამჯერად ქართველ მეზღვაურთა ქალაქ ფოთში გაემგზავრა.

ოთარს და მის მეუღლეს ციცინოს, რომელიც ფოთის სამედიცინო ტექნიკუმის სტუდენტია, თანამედროვე კომფორტი მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ. ხელფასის მეტი წილი წიგნებზე იხარჯება. ოთარს გადაწყვეტილი აქვს მეცნიერულად ჩამოაყალიბოს საექიმო პრაქტიკის დროს შეძენილი გამოცდილება. ციცინო ცდილობს ფრიადზე დაამთავროს ტექნიკუმი და სწავლა განაგრძოს სამედიცინო ინსტიტუტში.

ასე წარმოუდგენია ოთარს თავისი ახლო მომავალი:

— ავიღებ შვებულებას, ჩამოვალ თბილისში პროფესორთან და ვეტყვი: ოთარ კვინტრაძე ვარ, რიგითი ექიმი ფოთიდან, მინდა მეცნიერულ მუშაობას მოვკიდო ხელი. დამეხმარეთ, მირჩიეთ როგორ მოვიქცე...

— როგორ ფიქრობთ, დამეხმარება პროფესორი? — მკითხა ოთარმა.

პროფესორო, მიიღეთ ექიმი!...

მეოთხედი საუკუნე განშორებაში

გავიდა წლები. საფრანგეთი განთავისუფლდა. გენერალი ეწვია ქ. შატოს, შეივიდა კაფეში და იკითხა სახელი უცნობი გვარდიელისა, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლებს. მაგრამ კაფეს პატრონმა არ იცოდა მისი ვინაობა. იგი დღევანდლამდე უცნობი დარჩა.

1944 წლის დასაწყისში გიორგის შეატყობინეს, რომ ოდიშარია გესტაპოს ნაძირალებისაგან შემდგარი ბანდით უთვალთვალებდა და გადაეწყვიტა მისი სახლში დაჭერა. სასწრაფოდ მიიღეს საჭირო ზომები. გიორგის ცოლი ნათესავებთან გადავიდა საცხოვრებლად. გიორგი კი არალეგალურ მუშაობას განაგრძობდა და ცხოვრობდა ფრონტელ მეგობარ დემოულაკთან. ოდიშარიას კოზი ნაცარში ჩაუვარდა. მან სამი კვირა უყარაულა გიორგის სახლთან, მერე კი მიხვდა, რომ გიორგი ადრე გაფრთხილეს კეთილისმსურველებმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთ „სამშობლოს ხმის“ №№ 8, 9, 10, 1965 წ.

ყველაზე თანმიმდევრულ და ორგანიზებულ წინააღმდეგობას მტერს საფრანგეთში კომუნისტური პარტია უწევდა. იგი განუმარტავდა ყველა პატიოსან ფრანგს, რომ ნაცისტების დასამარცხებლად და განსადევნად საჭირო იყო ყველა ანტიფაშისტურად განწყობილი ქალაქის გაერთიანება, ბრძოლის გააქტიურება, რომელიც შემდეგ საერთო შეიარაღებულ აჯანყებად უნდა გადაქცეულიყო.

საფრანგეთის კომპარტია უდიდეს მუშაობას ეწეოდა, რათა გაეერთიანებინა ეროვნული ძალები უძნელეს და ურთულეს პირობებში, იმ დროს, როცა ტერორი მძვინვარებდა და გაძლებლებიც საკმარისად მოიძებნებოდნენ.

75 ათასი ფრანგი კომუნისტი დაბვრიტეს ფაშისტებმა ოკუპირებულ საფრანგეთში. საფრანგეთის კომპარტიას „დახვრეტილთა პარტიას“ უწოდებდნენ.

საფრანგეთის განთავისუფლებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა მეომრები. დიდი სიყვარულით და მადლობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალული ფრანგი საბჭოთა მეომრების მიმართ, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა მეომრების სამშობლოში გამომგზავრების დღეს საფრანგეთის სარდლობამ საზეიმო გაცილება მოაწყო, საბჭოთა მეომრების პატივსაცემად მიცემულ იქნა საარტილერიო სალუტი, ხოლო ვაგონები, რომლებითაც მეომრები უნდა წასულიყვნენ, ქალიშვილებმა ყვავილებით ავსეს, რათა გამოეხატათ მადლიერების გრძნობა, რომელიც მეომრებმა უცხო ქვეყანაში მოიპოვეს.

მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა ხალხის სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან. მხიარულნი და ბედნიერნი ბრუნდებოდნენ სოფლებსა და ქალაქებში გამარჯვებული მეომრები. არა, ადამიანი ჯარისკაცად არ იბადება, იგი მშრომელად არის გაჩენილი ამ ქვეყნად. და მებრძოლებს, რომლებიც საშინაბლოში ბრუნდებოდნენ, გულით უნდოდათ გამარჯვებული ყოფილიყვნენ მშვიდობიან მშენებლობის ფრონტზეც. არ არის ქვეყნად იმაზე დიდი ბედნიერება, რომელსაც გამარჯვებული ჯარისკაცი განიცდის სამშობლოში დაბრუნების დროს. რით და როგორ უნდა გაიზომოს დიდი სიხარული ნათესავებთან შეხვედრისა, ასობით და ათასობით ასეთ მეომარს აცილებდა გიორგი სამშობლოში. მათ განიცადეს ტყვეობა ფაშისტების ხელში, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულან, ტყვეობაშიც ებრძოდნენ მტერს.

გიორგი აცილებდა თანამემამულეებს და მათთან ერთად იზიარებდა სამშობლოში დაბრუნების დიდ სიხარულს. თვითონ კი უნდა დარჩენილიყო, რადგან ჯერ არ დამთავრებულიყო მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს ხელოვნების და ისტორიული საუნჯის დასაბრუნებლად. იმ საუნჯისა, რომელსაც არა ერთი და ორი მოცილე ჰყავდა ხელში ჩასაგდებად. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ იცავდა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი ერის სიმდიდრეს მარსელის ბანკის სარდაფებიდან ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის სარდაფებამდე.

კომისიაში, რომელსაც საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მხრიდან დავალებული ჰქონდა აღერიცხა და აღეწერა ჩვენი ერის საუკუნეების განშაყლობაში შექმნილი სიმდიდრე, გიორგიც შედიოდა. და აი გიორგიმ გააცილა საქართველოსკენ ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ამირანაშვილი, რომლებმაც ფასდაუდებელი ტვირთი ჩამოუტანეს შთამომავლობას.

მალე გიორგიმაც დადგა ოცდაბუთი წლის განშორების შემდეგ ფეხი მშობლიური ქვეყნის მიწაზე, თუმცა ნაწილით, გულით და მთელი თავისი შეგნებით ყოველთვის მასთან იყო.

მშენებელთა ჯანმრთელობის კერა

თბილისი. წერეთლის პროსპექტი № 57. ყოველდღე, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ამ შენობის მეოთხე სართულზე ამოდიან კალატოზები და ხუროები, მებათქაშეები და მღებავები. აქ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ღამის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში ისინი ჯანმრთელობას იკაჟებენ.

გრძელ დერეფანში ხალიჩა აფენია. ორივე მხარეს ათი 50 ადგილიანი საწოლი ოთახია. აქვეა სამედიცინო კაბინეტი, წითელი კუთხე, სამზარეულო, სასადილო ოთახი და საშხაპე. პირველად შემოსული კაცის ყურადღებას იპყრობს სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი. ჯანმრთელობის კერის პერსონალი ზრუნავს იმისათვის, რომ დამსვენებლები კმაყოფილი იყვნენ.

სასადილოს მენიუ მრავალფეროვანია. მაგალითად, დღეს სადილად არის მსუქანი ბორშჩი, შემწვარი ხორცი სალათით, ხილი, ხანმოკლე დასვენების შემდეგ სანატორიუმში მხიარული გამოცოცხლებაა. ზოგი ცისფერ ეკრანთან მოკალათებულა, ზოგი ჭადრაკს თამაშობს, ზოგი რადიოგადაცემას უსმენს თუ ახალ ჟურნალ-გაზათებს ათვალიერებს.

მშენებლებთან სტუმრად მოდიან ლექტორები. იკითხება ლექციები. დამსვენებელთა დიდ ინტერესს იწვევს ექსკურსიები ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ცეკვის საღამოები, კონცერტები.

— უკვე 12 წელიწადზე მეტია მშენებელთა ეს სანატორიუმი-პროფილაქტორიუმი არსებობს, თქვა მისმა დირექტორმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ალექსანდრე ვლადიმერის ძე ცქიტიშვილმა. შეღავათიანი და უფასო საგზურებით, რომლებსაც მათ პროფკავშირები აძლევენ, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მუშაობას მოუწყვეტლივ 24 დღეს ატარებენ აქ. სანატორიუმში მათ განუწყვეტლივ ადევნებს თვალყურს ექიმი. თუ საჭიროა, ეწყობა წამყვანი სპეციალისტ-მედიკების კონსულტაცია, დამსვენებლები უზრუნველყოფილი არიან წამლებით, ნორმალური, ჯანსაღი დასვენება, კარგი კვება შესანიშნავ შედეგს გვაძლევს. მშენებლები ძალღონეს იკრებენ და შემდეგ უფრო ნაყოფიერად მუშაობენ.

შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი ჩანაწერია. „გულწრფელ მადლობას გიძღვნით ზრუნვისა და ყურადღებისათვის“ — ეს აზრი წითელ ხოლად გასდევს ყველა ჩანაწერს.

კალრების სამჭედლო

მალე ქუთაისის № 4 პროფტექნიკური სასწავლებელი თავისი დაარსების 25 წლისთავს აღნიშნავს.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა სთხოვა სასწავლებლის დირექტორს ვ. ნოდიას ეამბნა, თუ რა ცვლილებანი მოხდა აქ მეოთხედ საუკუნეში.

— სასწავლებელი, — თქვა ვ. ნოდიამ, — თავისი არსებობის პირველ წლებში ამზადებდა საავიაციო მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის სპეციალისტებს, 1946 წლიდან კი იგი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშათა კადრების სამჭედლოა.

ამ ხნის განმავლობაში სასწავლებელი მთლიანად შეიცვალა. იგი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით. აქვს საკუთარი სასწავლო ბაზა და, არსებითად, პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი ქარხანაა. სასწავლებელში აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქციას — სახარატო-ხრახნსაჭრელ და ვერტიკალურ-საბურღ ჩარხებს, ავტომობილის დეტალებს, ზეთის ფილტრებს, საზეინკლო ინსტრუმენტებს და სხვ. ამას წინათ ქარხანას ვათხოვეთ 150 ათასი მანეთის მოწყობილობა, რაც დაეხმარება ავტომობილმშენებლებს უფრო წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ქუთაისის № 4 პროფტექნიკური სასწავლებლის გამოცდილების განზოგადებისა და შესწავლის შესახებ.

შორს გაითქვეს სახელი ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა, საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს გამმართველმა-სექციონერმა ი. ხაზარაძემ, მთავარმა მექანიკოსმა გ. ხიჯაკაძემ, ნახევარმისაბმელთა საამქროს უფროსმა რ. დოლიძემ, მუშებმა და მოსამსახურეებმა გ. ნამაკიძემ, ა. და ჯ. მარგველაშვილებმა, თ. ტალახაძემ და ბევრმა სხვამ, რომლებიც აქტიურად იბრძვიან საავტომობილო მრეწველობის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. მაღალხარისხოვანი ქართული ავტომობილების შექმნისათვის.


განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული რ. ტრაპაიძე, რომელმაც საინტერესო მეცნიერული აღმოჩენები მოახდინა მათემატიკის დარგში. რ. ტრაპაიძე ოთხამოცდოდ მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და ახლა ლაიპციგშია, სადაც წელს ამთავრებს უნივერსიტეტსა და ასპირანტურას.

◆

ახალი მედიკამენტები

თბილისის ორგანულ-თერაპიული პრეპარატების ქარხანაში მწყობრში ჩადგა სამფენიანი ჰემატოგენის ფორმირების, გაცივებისა და შეფუთვის ავტომატური ხაზი, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში. ხაზს ააგეს ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა თ. თოიძემ, საამქროს უფროსმა ა. დავითაშვილმა და მთავარმა მექანიკოსმა ი. რუნინმა.

ახლა საწარმოში უშვებენ ოცამდე ვიტამინებისა და ხელების სამედიცინო პრეპარატს. შეთანხმებულ შედარებით პროდუქციის გამოშვება ერთნახევარჯერ იზრდება.



სურათზე: პროექტი ჩაის სახლისა, რომელიც აშენდება თბილისში მელიქიშვილის ჭუჭაზე.

მშობლიური კუნძულის დიდი სიყვარულით

ექიმს — ლიტერატურული პრემია

რამდენიმე კვირის წინათ საქართველოში მოვიდა ცნობა, რომ ჩვენს თანამემამულეს სერგი წულაძეს მიენიჭა ლანგლუას სახელობის პრემია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნისათვის.

როგორც ცნობილია, ლანგლუას სახელობის პრემიას საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია ყოველწლიურად ანიჭებს საუკეთესო თარგმანებისათვის. ს. წულაძის თარგმანი შარშან გამოსცა საფრანგეთის ერთ-ერთმა უდიდესმა გამომცემლობამ „გალიმარმა“. თარგმანი შევიდა თვალსაჩინო ნაწარმოებთა იუნესკოს კოლექციაში.

ს. წულაძის თარგმანი, წერს ინგლისის ერთ-ერთი გაზეთი, შესანიშნავად არის შესრულებული. ამ წიგნს ღირსეულად უჭირავს ადგილი მსოფლიოს საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებთა შორის.

ამას წინათ ს. წულაძე კვლავ დაუბრუნდა „ვეფხისტყაოსანს“. იგი პოემას ამზადებს საიუბილეო გამოცემისათვის, რომელიც მომავალ წელს გამოქვეყნდება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით.

განათლება ს. წულაძემ მიიღო თავის მეორე სამშობლოში — საფრანგეთში, სადაც პატარა სერგი მშობლებმა წაიყვანეს. საფრანგეთთან მას აკავშირებს ბევრი ძვირფასი მოგონება. პარიზში დაამთავრა ლიცეუმი, შემდეგ კი სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო და ლიტერატურის ფაკულტეტები.

1939 წელს, როცა საფრანგეთს ფაშისტური ტანკები თელავდნენ, ს. წულაძე საფრანგეთის წინააღმდეგობის რიგებში შევიდა. შემდეგ მეთაურობდა პარტიზანთა ჯგუფს, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში მოქმედებდა.

საქართველოში სერგი შეჭაღარაყებული, უკვე კარგი სპეციალისტი დაბრუნდა. ფრანგულ ენაზე თარგმნა გალაქტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის ლექსები. როგორც თვითონ ამბობს, ეს მუშაობა დიდი სიმფონიის — „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პრელუდია იყო. რუსთაველის პრემის თარგმნაზე მუშაობის დროს მას ეხმარებოდა აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე.

ამჟამად ს. წულაძე, რომელიც ჩასწვდა რუსთაველის ლექსის ფილოსოფიურ სიღრმეს, თარგმნის დიდი ქართველი მოაზროვნისა და მწერლის სულხან-საბა ორბელიანის წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“, სადაც ავტორმა პროზაულ მინიატიურებში ჩამოაყალიბა თავისი დიდაქტიკური ფილოსოფია.

როგორც ს. წულაძე ამბობს, ლიტერატურა მისი მეორე პროფესიაა, ძირითადად კი იგი მედიკოსია.

ცნობილ ლიტერატორს 20 მეცნიერული ნაშრომი აქვს დაწერილი პირონვების თავისებურებათა შემსწავლელი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის დარგში. ჯერ კიდევ საფრანგეთში ფსიქიატრად მუშაობდა და სამედიცინო ფსიქიოლოგიაში სპეციალდებოდა. საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მან პარიზში დაიცვა, ეხება „პროექციის“ ცნების ფსიქოპათოლოგიაში პიროვნების შესწავლის დროს.

ეს გამოკვლევები დაკავშირებულია მის დღევანდელ საქმიანობასთან. ს. წულაძე პროფესორ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფსიქოთერაპიის განყოფილების გამგეა.

ახლა მეცნიერი ამზადებს სადოქტორო დისერტაციას თემაზე — „რეაქტიული ფსიქოზის დროს პიროვნების სტრუქტურის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური შესწავლის მასალები“. ამ დისერტაციის მასალების ნაწილი ს. წულაძემ შეაგროვა პარიზის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობის დროს პროფესორ დელეის ხელმძღვანელობით.

ეი როგორ ახასიათებს ს. წულაძეს, როგორც მედიკოსს, ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ზურაბაშვილი.

— „ს. წულაძე კარგი კლინიცისტი და ადამიანის ფსიქოლოგიის შესანიშნავი ანალიტიკოსია. როგორც ფსიქოთერაპევტი იგი შესანიშნავად ფლობს ფსიქოანალიზური კვლევის ძეთოდებს და ღრმა ცოდნა აქვს ელექტროფიზიოლოგიის დარგში“.

ამ დღეებში სერგი წულაძემ მიიღო ცნობილი ინგლისელი ქათოველოლოგის დევიდ ლენგის წერილი. დ. ლენგი სწერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიდის აღმოსავლეთმცოდნეთა კონგრესზე, სადაც მოხსენებას წაიკითხავს „ვეფხისტყაოსნის“ წულაძისეულ თარგმანზე.

სასიამოვნო ფაქტია!

ღვაწლმოსილი მეცნიერი

ამ დღეებში ათობით დეპეშა მიიღო უხუცესმა ქართველმა გეოგრაფმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილმა. კოლეგებმა, მრავალმა მოწაფემ, მეგობარმა მიულოცეს თვალსაჩინო საბჭოთა გეოგრაფს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისა და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის გეოგრაფთა საზოგადოების საპატიო წევრის ა. ნ. ჯავახიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობაში. მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი გამოვიდა 1900 წელს. მას შემდეგ ღვაწლმოსილმა მეცნიერმა გამოაქვეყნა გეოგრაფიის მეცნიერების სხვადასხვა დარგის — კლიმატოლოგიის, ჰიდროგრაფიის, საქართველოს გეოგრაფიული კვლევის ისტორიის, სამხედრო გეოგრაფიის, აგრეთვე ანტროპოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ორასამდე ნაშრომი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი ნაშრომები ზოგად და რეგიონალურ გეომორფოლოგიის საკითხებზე.

1918 წელს ა. ნ. ჯავახიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა გეოგრაფიის კათედრა — საქართველოს გეოგრაფიის მეცნიერების პირველი კერა. 1924 წელს ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოება, რომელსაც უკვე ორმოცდაერთი წელია უცვლელად ხელმძღვანელობს ა. ნ. ჯავახიშვილი. მეცნიერის ინიციატივით 20 წლის წინათ დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 65 წლის მანძილზე აკადემიკოსმა აღზარდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტ-გეოგრაფთა მთელი არმია. მის მოწაფეებს შეხვდებით საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

ა. ნ. ჯავახიშვილის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ჩვენმა მთავრობამ არაერთგზის დიდად შეაფასა. იგი დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. მეცნიერის ახალი საპატიო ჯილდო — შრომის წითელი დროშის მეორე ორდენი მოწმობს ა. ნ. ჯავახიშვილის ღვაწლის მაღალ შეფასებას, იმას, რომ მხცოვანმა მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებაში.



საქართველოს სახალხო არტისტს ლეილა აბაშიძეს სამართლიანად უწოდებენ ქართული კინოს ვარსკვლავს.

ქართველი დირიჟორი თურქეთში იმუშავებს

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იცით, რამდენიმე კვირის წინათ კუბაში გასტროლებიდან დაბრუნდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ფალიაშვილი, რომლის დირიჟორობითაც იქ რამდენიმე კონცერტი გაიმართა. ახლა ვ. ფალიაშვილი კვლავ ემზადება გასამგზავრებლად. მისი მარშრუტია თურქეთის დედაქალაქი ანკარა.

სსრ კავშირ-თურქეთის კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ანკარაში სურვილი გამოთქვეს, რომ საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებმა თურქეთის დედაქალაქის სცენაზე განახორციელონ მინკუსის ბალეტი „დონ-კიხოტი“. დადგმა დაევალა მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტის ყოფილ სოლისტს ს. მესერერს, რომელიც ამჟამად ბალეტმეისტერად მუშაობს. ამავე თეატრმა ანკარელ კოლეგებს საჩუქრად გაუგზავნა მინკუსის ნაწარმოების პარტიტურა. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ორგანიზაციამ „სახკონცერტმა“ წარმოდგენის მუსიკალურ ხელმძღვანელად შეარჩია ვ. ფალიაშვილი.

„დონ-კიხოტის“ დადგმაზე მუშაობის გარდა ქართველი დირიჟორი ანკარაში რამდენიმე სიმფონიურ კონცერტსაც გამართავს.

ორი პოეტის მეგობრობა

წლეულს ქართველმა მკითხველმაც მიიღო სალვატორე კვაზიმოდოს ლექსების კრებული, მოიხიბლა მისი ერუდიციით, იმ ადამიანით, რომელსაც აწუხებს ფიქრი ხალხთა მომავალზე, კაცობრიობის ბედზე, ომსა და მშვიდობაზე.

ახლახან მის მთარგმნელს პოეტ მიხეილ ქვლივიძეს იტალიიდან სალვატორე კვაზიმოდოს წერილი მოუვიდა.

— ძვირფასო მიხეილ, — სწერს იტალიელი პოეტი, — მივიღე თქვენ მიერ თარგმნილი ჩემი პოეტური კრებული და დიდ მადლობას გიძღვნით, რადგან ვიცნობ იტალიურად თარგმნილ თქვენს ლექსებს და ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად მიმაჩნიხართ.

სალვატორე კვაზიმოდო სთხოვს მ. ქვლივიძეს — თუ ძნელი არ იქნება, ახლოს გააცნოს თავისი მშობლიური საქართველო, მოუთხროს მის ბუნებაზე, ადამიანებზე.

პოეტი ქართველ მეგობარს ეპატიჟება ეწვიოს იტალიაში და თუ ამ სურვილს შეუსრულებს, წინასწარ აცნობოს ჩასვლის დრო.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ განაცხადა, რომ კვლავაც განაგრძობს კვაზიმოდოს ლექსების თარგმნას და მხოლოდ მეორე, უფრო მოზრდილი კრებულის გამოქვეყნების შემდეგ აქვს განზრახული ეწვიოს სტუმართმოყვარე მასპინძელს.

ტურიზმი... მიწის ქვეშ

საქართველოში ბევრი მიწისქვეშა გამოქვაბულია. მაგრამ კურორტ ახალი ათონის მახლობლად ამ ხუთი წლის წინათ აღმოჩენილი ვეებერთელა კარსტული მღვიმე დარბაზების გიგანტურობითა და საერთო მოცულობით ერთადერთია მთელ ჩვენს ქვეყანაში.

როგორც მკვლევარებმა დააზუსტეს, ამ მღვიმის დერეფნების საერთო სიგრძე 15-25, სიგანე — 10-7, სიმაღლე 20-70 მეტრია, საერთო მოცულობა 947 ათასამდე კუბმეტრი. მის დარბაზებში საუკუნეობრივი მდუმარებით თვლემენ ნაირნაირი მოხატულობის, ფერის, ფორმისა და შინაარსის სტალაგმიტები და სტალაქტიტები, გაქვავებული ჩანჩქერები. თვალს ხიბლავს ანკარა ტბები, მოჩხრიალე პატარა მდინარეები. უფსკრულში მეცნიერული შესწავლისა და მისი გამოყენების მიზნით ხუთჯერ ჩაეშვა ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ ისტორიკოსები, გეოგრაფები, არქეოლოგები, გეოლოგები, კინოდოკუმენტალისტები და სხვა პროფესიის ადამიანები.

ახლა მიმდინარეობს ანაკოფიის უფსკრულის კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოები.

უფსკრულის დონეზე მთაში გაიჭრება გვირაბი, რომლის სიგრძე 1 კილომეტრი და 200 მეტრი იქნება. გვირაბში ივლის ელექტრომატარებელი, რომელიც უფსკრულის შესასვლელთან მიიყვანს მგზავრებს. შემდეგ განაგრძობს გზას და მათ გამოსასვლელთან დაელოდება.

გვირაბის მშენებლობის საძიებო სამუშაოებს ახორციელებს ნახშირსაძიებო ტრესტი. მიმდინარეობს ბურღვითი სამუშაოები 170 მეტრ სიღრმეზე.

ჩვენს ქვეყანაში მიწისქვეშა გამოქვაბულის მასობრივი ტურიზმისათვის გამოყენების შემთხვევა პირველია, და ამ საქმეში გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ „საქჭალაქმშენსახპროექტის“ დირექტორი ა. საბაშვილი, ამავე ინსტიტუტის არქიტექტორი რ. რიჟინაშვილი, ენერგეტიკოსი დ. ბერძენიშვილი, „ინტურისტის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე რ. ირემაშვილი და სხვები.

დელეგაცია ამ დღეებში სამშობლოში დაბრუნდა. მისმა ხელმძღვანელმა ა. საბაშვილმა გვითხრა:

— ჩეხოსლოვაკიაში მიწისქვეშა გამოქვაბულები შესანიშნავად არის გამოყენებული მასობრივი ტურიზმისათვის. მორავიის რაიონში 30 კილომეტრის რადიუსის ფარგლებში 100-მდე გამოქვაბულია. ამათგან ყველაზე კეთილმოწყობილი და მოცულობით დიდია მაცოხა, რომელსაც დღეში 4.500 კაცი ნახულობს. გამოქვაბულს დამთვალიერებელი ჰყავს მთელი წლის განმავლობაში. არ გაივლის დღე, რომ მაცოხა 2 ათასმა ტურისტმა მაინც არ ნახოს. დამთვალიერებლები შეჰყავთ ჯგუფ-ჯგუფად ას-ას კაცის რაოდენობით. ყოველი დარბაზის დათვალიერების შემდეგ შუქი ქრება და მომდევნოში ინთება. ეს ზოგავს ელექტროენერგიას და იცავს გამოქვაბულს ხავსის მოკიდებისაგან, რასაც სინათლე უწყობს ხელს.

ცხრა დღეს დავრჩით ჩეხოსლოვაკიაში და დავათვალიერეთ ოთხი გამოქვაბული. შევისწავლეთ მათი ექსპლოატაციის არქიტექტურის, უსაფრთხოებისა და სხვა საკითხები. კონსულტაცია გაგვიწია მაცოხას მკვლევარმა, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ფ. კრივანეკმა.

ახლო მომავალში, ახალი ათონის მღვიმეს ათასობით მშრომელი ეწვევა. **კურორტის ცენტრში,** საიდანაც იწყება გვირაბი, აშენდება ადმინისტრაციული სახლი, სასადილო, ელექტროდეპო და სხვა დამხმარე სათავსები.

უფსკრულის კეთილმოწყობის პროექტს ამუშავებს „საქჭალაქმშენსახპროექტის“ მე-6 არქიტექტურული სახელოსნო, რომელსაც ს. რევიშვილი ხელმძღვანელობს.

პროექტის მთავარი ინჟინერია რ. რიჟინაშვილი, მთავარი არქიტექტორი — თ. მარკოზაშვილი.

ახლა არქიტექტორები საპროექტო მოცემულობათა პარალელურად გვირაბის სამუშაო ნახაზებს ადგენენ.

ხილის კონვეიერი

საქართველოში ბლისა და ალუჩის კრეფით იწყება ხილის კონვეიერი. ამას მოჰყვება ალუბალი, გარგარი, ქლიავი, ატამი, ვაშლი, მსხალი... შემოდგომის მიწურულს ფოთლებთან ერთად გაყვითლდება კომში. თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი ბაღებიდან გემრიელი სურნელოვანი ხილი გეზავნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრს.

ბარაქიანია ქართული მიწა. ოდითგანვე სახელგანთქმული იყო ქართლის, კახეთის, მესხეთის შესანიშნავი ბაღები. მაგრამ არის ბაღი, რომელმაც აჯობა დანარჩენებს. იგი არის სკრაში, გორის მახლობლად. ეს ბაღი მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ სადგურს ეკუთვნის.

თითქმის რკინიგზამდე მოდის ხეხილი, მისი მწკრივები კი შორეული მთების ძირას იწყება.

ასეთი მრავალფეროვანი ხეხილი ძნელია იპოვო რომელიმე სხვა ქვეყანაში. აქ ხუთასამდე ჯიშის ვაშლია, 120 ჯიშის ატამი, 82 ჯიშის გარგარი, 100 ჯიშის ქლიავი, ათობით ჯიშის ბალი, კომში, მსხალი. ბევრი ჯიში აბორიგენულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხილი, რომელიც ქართველმა სელექციონერმა მეცნიერებმა გამოიყვანეს. სკრის ვაშლს უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედლები და დიპლომები მიენიჭა საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოფენებზე.

სკრა ხეხილის ნერგების მიმწოდებელია. აქედან კოლმეურნეობები ყოველწლიურად იღებენ ათეულ ათასობით ნერგს სარგავად. აქაური ბაღები ეტალონი გახდა. ამინდის ცუდ პირობებშიც კი ეს ბაღები უხვ მოსავალს იძლევიან. მაგალითად, ჰექტარი ვაშლი იძლევა 200-250 ცენტნერ ნაყოფს.

ნიადაგისა და ნარგავების მოვლის სრულყოფილ მეთოდს სწავლობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მებაღეები, როცა ბაღებს ამუშავებენ. სკრელ მეცნიერებს შეხვდებით გორის, ქარელის, ზამთრის, კასპის, ტყიბულის, ზნაურის და ბევრი სხვა რაიონის ბაღებში. ისინი ასწავლიან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს უხვი მოსავლის მიღების ოსტატობას.

საცდელი სადგურის მუშაკთა რჩევით წარმოებს ხეხილის ბაღების შემჭიდროება ჭონდარა ხეხილით. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ეს დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. იმ ნაკვეთებზე, სადაც ჭონდარა ხეები ხარობს, ვაშლის მოსავალი ორჯერ აღემატება ჩვეულებრივი ბაღების მოსავალს. წელს ბევრი ჭონდარა დაირგო გორისა და მეზობელი რაიონების ბაღებში.


საერთაშორისო სემინარი

სამ დღეს მიმდინარეობდა აფხაზეთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში შავი ზღვის, კალმახის მეურნეობაში საერთაშორისო სემინარი სსრ კავშირის შიდა წყალსატევებში მეთევზეობის საკითხებზე.

საზღვარგარეთელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მოზარდეულისა და სასაქონლო კალმახის წყალსატევები, მოუთხრეს საბჭოთა სპეციალისტებს თევზის გამრავლების თანამედროვე საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ.

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — შავი ზღვის კალმახის მეურნეობის დირექტორი დავით უბილავა სემინარის მონაწილეებს მოუთხრობს მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე; მიმდინარეობს გაცხოველებული აზრთა გაცვლა. მეურნეობის მთავარი მეთევზე ომარ წულეისკირი (მეორე მარჯვნიდან) სემინარის მონაწილეებს უპასუხებს კითხვებზე; (მარცხნიდან მარჯვნივ) იაშუვა აბრაჰამი (ისრაელი), დე-ლა ფუენტე (ესპანეთი) და გალეტა დანიელი (ეთიოპია) თვალს ადევნებენ კალმახს წყალსატევში.







ხალხთან, ხალხისათვის

სამამულო ომის წლებში სოფლების ლისის, თხინვალის, წოდორეთის მცხოვრები 60 მამაკაცი შინ არ დაბრუნებულა. დალუპულთა ოჯახებზე ზრუნვა იკისრა ლისის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭომ. რა არ გაკეთდა იმისათვის, რომ შეემსუბუქებინათ დედების, ცოლების, შვილების მწუხარება. ზოგს სახლი აუშენეს, სახურავი შეუკეთეს, ზოგს შეშა მიუტანეს, ობლებს სწავლაში დახმარება აღმოუჩინეს, ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. ხოლო ადამიანი, როცა ზრუნვას ხედავს, თავს ობლად აღარ გრძნობს. მუშაობაც კარგად მიდის და ცხოვრებაც ადვილდება.

ამ და ბევრი სხვა კეთილი საქმის სულისჩამდგმელია ყველასათვის საყვარელი ადამიანი ბაბრიელ სიმონის-ძე ჭიკლაური. იგი 58 წლისაა. აქედან 22 წელია გარდაბნის რაიონის ლისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობს. ამომრჩევლები სიამოვნებით აძლევენ ხმას კომუნისტს, რომლის კეთილშობილური დევიზია: „მარად ხალხთან და ხალხისათვის“.

— ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის ჩვენთან არის, — ამბობენ სოფლელები. — ჩვენი გაბრიელის იმედი ყოველთვის უნდა გქონდეს, არასოდეს არ გიღალატებს.

ყველაფერი, რაც გაკეთებულია და კეთდება ლისში, თხინვალში, წოდორეთში, მსხალდიდში, აგარაკში სასოფლო საბჭოს დეპუტატთა საქმიანობის შედეგია.

აღმასკომის თავმჯდომარეს ხშირად ჩახვთ დიღმის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. გაბრიელ ჭიკლაური მიწათმოქმედია და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაციის დიდი გამოცდილება აქვს — ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას. ყოველდღიურად ადევნებს თვალყურს მეცხოველეთა საქმეებს, ეხმარება მათ შექმნან მტკიცე ხაკვები ბაზა, გაზარდონ პირუტყვის პროდუქტიულობა.

სასოფლო საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს სოფლების კეთილმოწყობას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობას, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას. დეპუტატთა ინიციატივით მოასფალტებული გზები, აგებულია ხიდები, მოწყვარებულია თბილისთან ავტობუსების რეგულარული მიმოსვლა. ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მცხოვრებთა წყლით მომარაგებისათვის. ახალი წყალსადენი აგო სოფელ წოდორეთში, რომლის მცხოვრებლებსაც ახლა წყაროს წყალი აქვთ. მაღაზიები, პურსაცხობი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სკოლა, ასზე მეტი საცხოვრებელი სახლი — ასეთია ახალმშენებლობათა არასრული ნუსხა.

აქტიურად მუშაობენ სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები. განსაკუთრებით გამოირჩევიან კომისიის წევრები დ. ბერიძე, ტ. ჯავახიშვილი, ვ. ჩაგელიშვილი, ა. ჯიქიძე. დეპუტატები საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან. მათი ლექციები და მოხსენებები პოლიტიკურ და საერთო საგანმანათლებლო თემებზე დიდ აუდიტორიას იზიდავს.

◆

ფართოვდება

ჭუთაისი. გასულ წელს ჭუთაისში დამთავრდა 6 კოოპერაციულმა ამანაგობამ ლენინის პროსპექტზე მდებარე ექვსი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლებშიც შესახლდა 220 ოჯახი. მიმდინარე წელს კოოპერაციული მშენებლობა კიდევ უფრო გაფართოვდა.

22 წლის განმავლობაში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბევრი რამ გააკეთა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. გაბრიელ წიკლაურს განზრახული აქვს სოფლების მთლიანი ელექტროფიკაცია, კლუბის, სკოლა-ინტერნატის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა, ყველა სასოფლო შარაგზის მოასფალტება. „ჩვენი მიზანია, — ამბობს თავმჯდომარე, — საბჭოთა ხელისუფლების მიზანია, რომ ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო ლამაზი, უფრო მდიდარი გახდეს“.

ყოველი მეტალურგი სწავლობს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლეხავ საამქროში მოეწყო შრომის მოწინავე მეთოდების სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება. საამქროს ოსტატი რუსლან ამბოკაძე სამი თვის მანძილზე ასწავლიდა მუშაობის მოწინავე მეთოდებს 25 ოპერატორსა და მვალცავს. საკვალიფიკაციო კომისიამ ყველას თანრიგები მოუმატა.

ამჟამად ათასობით მეტალურგი სწავლობს ინსტიტუტებში, ტექნიკუმებსა და მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, შრომის მოწინავე მეთოდების ოსტატთა სკოლებში, ტექნიკური კულტურის სახალხო უნივერსიტეტებში.

მრავალფეროვანია სწავლის ფორმები და მეთოდები. მარტენის საამქროს ინჟინრები მეფოლადეებს ეხმარებიან, რომ მიაღწიონ თავიანთ პროფესიაში ინჟინრისა თუ ტექნიკოსის ცოდნის დონეს.

ბრძედების საამქროს უფროსმა ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ძამაშვილმა საზოგადოებრივ საწყისებზე თავისი კოლექტივის 15 წევრს შეასწავლა ორი-სამი მონათესავე პროფესია, 12 კაცი კი მონათესავე პროფესიას დაეუფლა სამსხმელო საამქროს ოსტატის ვ. არღანიშვილის ხელმძღვანელობით.

◆

ფართოდ ცნობილი

სოფელი ქვედა ულიანოვკა ქობულეთის ახლოსაა. მაგრამ მას იცნობენ პოლონელები, სლოვაკები, ჩეხები, უხგრელები, ბულგარელები, გერმანელები, ვიეტნამელები, კუბელები, ინგლისელები, ბრაზილიელები, აფრიკელები. აქ ყოფილან სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. კოლმეურნეობის შთაბეჭდილებათა წიგნში არის გლეხებისა და მეცნიერების, მუშებისა და ხელოვნების მოღვაწეების ჩანაწერები. აღფრთოვანებული ჩანაწერები დატოვეს კუბელმა რევოლუციონერმა მანუელ მარტიმ, ჩეხოსლოვაკიელმა კომპოზიტორმა ალოიზ შვინჰარმა, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ ლენგმა, „ფინეთ-სსრ კავშირის საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტმა მარტი ჰტკენენმა...

...ჩვენ ვხედავთ დროისაგან ფერგადასულ ფოტოსურათს. მასზე აღბეჭდილია ბუჩქნარით დაფარული მთის ბორცვები და ფერდობები. ეს ის მიწებია, რომლებიც სამუდამოდ გადასცეს სოფელ ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობას, არაფერი საერთო არა აქვთ მათ დღევანდელ ლანდშაფტთან. ქოჩორა ჩაის ბუჩქები, ათასობით ციტრუსოვანთა ხე. სოფელი კი პატარა ქალაქს დამსგავსებია. ფართო მოასფალტებული გზა, ორიენ მხარეს თეთრი შენობები, სკოლა, კლუბი, უნივერმაღი, ავტომატური სატელეფონო სადგური, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები... გაზიფიცირებულია კოლმეურნეთა ბევრი სახლი.

ყველაფერი, რასაც ხედავთ, კოლმეურნეებმა გააკეთეს. მათ აყვავებულ ოაზისად აქციეს საუკუნეობით გამოუყენებელი მიწები. აგრონომებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა, პედაგოგებმა, ელექტრიკოსებმა, მექანიკოსებმა, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებმა, აქაურ კოლმეურნეთა შვილებმა ბევრი იშრომეს, ეცადნენ ლამაზი გაეხადათ მშობლიური კუთხე.

სოფელ ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობა განთქმულია მეჩაიეებითა და მეციტრუსეებით.

თვითეული ჰექტარი პლანტაცია კოლმეურნეობას მისცემს 6.500 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. მეურნეობა ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს ამზადებს.

ახლა ქვედა ულიანოვკაში დიდი შრომაა გაჩაღებული. მიმდინარეობს ჩაის მასობრივი კრეფა. პლანტაციებში ასობით კოლმეურნე გამოდის, დღეში რამდენჯერმე მიდის აქედან ჩაის ფაბრიკაში ნაზი ფოთლით სავსე ყუთებით დატვირთული მანქანა. ყოველი დღე ბადებს ჩაის კრეფის ახალ გმირებს. გუშინ თავი ისახელა ა. შიშმანიძემ. მან მოკრიფა 95 კილოგრამი ფოთოლი — სამი დღის ნორმა.

კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა მოკრიფოს 330 ტონა ჩაის ნედლეული — 20 ტონით მეტი გეგმასთან შედარებით და 500 კილოგრამით გაადიდოს ფოთლის საშუალო გამოსავალი ჰექტარზე.

უხვ მოსავალს გვპირდება ციტრუსოვანთა ბაღები. წარმატებით მიმდინარეობს ბრიგადების ჭიის გამოყვანა. გადიდდა საზოგადოებრივი პირუტყვის პროდუქტიულობა.

ფოსტალიონს კოლმეურნეობაში მოაქვს წერილები საზღვარგარეთიდან. მეგობრებს აინტერესებთ კოლმეურნეობის საქმეები. „ჩვენთან ყველაფერი კარგად არის!“ — უპასუხებენ ქვედაულიანოვკელები.

ფიზიკოსები ალაზნის ველზე

თელავში მუშაობას განაგრძობს ფიზიკოსთა ზაფხულის საერთაშორისო სკოლა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დუბნის ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის ინიციატივით მოეწყო.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აუდიტორიებში თავი მოიყარა 150 მეცნიერმა, რომლებიც ატომგულის ფიზიკის დარგში მუშაობენ. აქ ნახავთ ფიზიკოსებს საბჭოთა კავშირიდან, ინგლისიდან, დანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან. მსმენელებს — ესენი არიან ახალგაზრდა მეცნიერები, კანდიდატები და დოქტორები — ლექციებს უკითხავენ მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსები. სკოლის მსმენელთა შორის ბევრია ახალგაზრდა ქართველი ფიზიკოსი.

ლექციებისაგან თავისუფალ დროს სკოლის მსმენელები და ლექტორები ექსკურსიებს აწყობენ კახეთის ისტორიულ ადგილებში. მათ უკვე მოინახულეს გრემი, ალავერდი, შუამთა, ნეკრესი, იყალთო...

უცხოელ ფიზიკოსებს ძალიან მოსწონთ კახეთი, მისი მდიდარი ბუნება.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ ბრინკი აღფრთოვანებული იყო ისტორიული ძეგლების სილამაზით. ქართული ოჯახის სიმდიდრით, რომელსაც ესტუმრა. თელაველი პედაგოგის გიორგი ჯავახიშვილის ოჯახში იგი მოიხიბლა სტუმართმოყვარე მასპინძლის ეზო-ბაღით.

პოლონელმა პროფესორმა კრაკოვიდან ა. ხრინკევიჩმა, რომელიც უკვე მესამედ არის საქართველოში, თქვა:

— კახეთი ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, ხალხი კი ყველაზე სტუმართმოყვარე. მე ტკბილით შემიყვარდა ეს ისტორიული ძეგლები, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე მხვდება. ასეთი ძველი ძეგლები შეიძლება ჰქონდეს ხალხს, რომელსაც დიდი კულტურა აქვს.

◆

თქვენ გიყვართ კერამიკა?!

კერამიკა ასე მზადდება

წინათ გულკანური ქვა — პერლიტი, რასაც კერამიკული მასის დასამზადებლად იყენებენ, რათა თიხოვანი მინარევებისაგან გაეთავისუფლებინათ, იძულებული იყვნენ წყლით გაერეცხათ. თიხა ადედებდა კერამიკულ მასას და ცუდად ავსებდა მომავალი ჭურჭლისა თუ ლარნაკის ფორმებს. ასეთი მასისაგან დამზადებული ნაწარმი გამოწვის დროს ხშირად სკდებოდა. გარდა ამისა, პერლიტის წმენდა აძვირებდა წარმოებას. ამ ოპერაციის დროს ძვირფასი ნედლეულის 30 პროცენტი ფუჭად იკარგებოდა.

კერამიკის ლაბორატორიის თანამშრომლებმა — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. პაპუაშვილმა და უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. აიზენბერგმა წინადადება წამოაყენეს უარი ეთქვათ პერლიტის გარეცხვაზე. მათ შეიმუშავეს განსაკუთრებული ორგანული დანამატების — ელექტროლიზების რეცეპტურა, რომელებმაც გაანეიტრალა თიხის მავნე ზემოქმედება კერამიკულ მასაში.

მეცნიერთა მიერ შემუშავებულმა კერამიკული მასის შერბილების წესმა წარმოების მუშაკებს საშუალება მისცა დამატებით გამოეყენებინათ მრავალი ტონა ძვირფასი მასალა და ამ საქმეში ათეულათასობით მანეთი დაეზოგათ.

პერლიტის ფაიფური...

გამჭვირვალე ჭრიალა ფაიფურის მისაღებად ძირითადი შედგენილობის ჩვეულებრივი დამატების სახით იყენებენ მინდვრის შპატსა და კვარცის ქვიშას.

ამჟამად მოსკოვის მახლობლად დულევოს ფაიფურის ქარხანაში საწარმოო გამოცდას გადის ფაიფურის ახალი შედგენილობა, რომელშიც პერლიტია გამოყენებული. ეს მეთოდი შეიმუშავეს ინჟინრებმა რ. მამალაძემ და კ. ჩარგეიშვილმა. მისგან უკვე დამზადებულია ჩაისა და სადილის სერვიზები, ქანდაკებები. ყველაზე მომთხოვნი დიასახლისიც კი ვერ გაარჩევს პერლიტნარევი ფაიფურის ფინჯანს და შორეულ წარსულში ძველი ოსტატების რეცეპტურით დამზადებულ ფინჯანს.

ახალი ჭიქური ყველას მოეწონება

მოხატული, ნატიფი და წელწვრილი მოჭიქული ჭურჭელი, ოვალური ფიალა და საფერფლე ყველას მოეწონება. ნაკეთობას ასეთ სილამაზეს ანიჭებს ჭიქური „კრაკელე“, რომლის რეცეპტურა შეიმუშავეს ლაბორატორიის გამგემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ხიზანიშვილმა და ინჟინრებმა გ. გაფრინდაშვილმა და ა. შუშანიშვილმა. ავტორებმა წინადადება წამოაყენეს პერლიტი გამოეყენებინათ ისეთ ნივთიერებათა მოსამზადებლად, რომლებიც სილამაზესა და ელვარებას ანიჭებენ კერამიკასა და ქაშანურს. მათ დაადგინეს, რომ გარკვეულ პირობებში პერლიტს უნარი აქვს ბუნებრივად მხატვრულად დაბზაროს ჭიქური.

პერლიტის საფუძველზე „კრაკელეს“ ჭიქურით მოჭიქული ნაკეთობა ჩინებული თვისებებით გამოირჩევა და გარეგნულადაც მომხიბლავია.

ჯ. ცხომელიძე.

4/9 6/20.

საქართველოს ტელევიზიის სჯალინდელი ღღე

თბილისის ტელეცენტრი აწყობს საცდელ გადაცემებს მეორე პროგრამით. კიდევ რამდენიმე დღეც და თბილისელი ტელემაყურებლები თავისი სურვილისამებრ შეარჩევენ პროგრამას.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტელევიზიის პროგრამა გადაიცემა მეოთხე არხით; ახლა მეცხრე არხზე გადართვით მაყურებლებს შესაძლებლობა ექნებათ ნახონ მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამა. ცენტრალური ტელევიზიის მეორე და მესამე პროგრამები რადიოსარელეო ხაზით აღარ გადაიცემა. იმ ქალაქების მშრომელები, რომლებიც ცენტრალური ტელევიზიის ქსელში არიან ჩართული, მათ შორის თბილისელებიც, მიიღებენ გადაცემებს მოსკოვიდან და 30 ქალაქიდან, აგრეთვე ინტერვიზიისა და ევროვიზიის პროგრამებს.

მეორე გადამცემის სიგნალები, რომელიც ახლახან დაიდგა მთაწმინდის ტელეცენტრში, გავრცელდება 20—30 კილომეტრ რადიუსით პირდაპირი ხილვადობის პირობებში. ამრიგად, მეცხრე არხით პროგრამის მიღება შეეძლებათ მხოლოდ თბილისისა და მის მახლობლად მდებარე რაიონების ტელემაყურებლებს.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამას მიიღებენ აგრეთვე სოხუმისა და მისი გარეუბნების მცხოვრებლები.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გადწყვიტა მომავალ წელს ასეთივე სიმძლავრის გადასაცემი აპარატურა დააყენოს ქუთაისის სარეტრანსლაციო სადგურშიც.

თბილისის ტელეცენტრის რეკონსტრუქციის შემდეგ შეიცვლება სატელევიზიო კოშკი და გადასაცემი აპარატურა. მაშინ მეორე პროგრამას ნახავენ უველგან, სადაც საქართველოს ტელევიზიის პროგრამას იღებენ.

ახალი სატელევიზიო კოშკის მშენებლობა განზრახულია 1967 წლისათვის. მანამდე საქართველოს ტელევიზია პერიოდულად ჩართავს ხოლმე თავის პირველ პროგრამაში ცენტრალური ტელევიზიის უველაზე მნიშვნელოვან გადაცემებს.

ბუმბერაზი ელექტროკარი

რკინიგზელთა, ნავსადგურის მუშათა, ავიატორთა და დიდი საწარმოების მუშათა საამედო თანაშემწენი გახდებიან მძლავრი ელექტროკარები-საწევრები, რომელთა გამოშვება დაიწყო ბათუმის ქარხანა „ელექტროკარმა“. ასეთი ელექტროკარების შექმნაში ქარხნის სპეციალისტებს დაეხმარა ინჟინერი სერგი წვერაიძაშვილი, ელექტროტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელი. კონსტრუქტორმა შეიმუშავა საწევრის მართვის მარტივი და საიმედო ელექტროსქემა.

ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილ ამ ბუმბერაზ ელექტროკარს, შეუძლია თერთმეტი ტონა ტვირთის გადატანა. სპეციალური ავტომატური მოწყობილობა საშუალებას აძლევს მძღოლს უშუალოდ კაბინიდან გადაბას იგი სატვირთო ურიკას.



სურამის ციხესთან.

სპორტული ექსპრესი

ახლა საქართველოში სტუმრად არიან შვეიცარიელი ალპინისტები. თბილისში სტუმრობის შემდეგ ისინი სვანეთს გაემგზავრნენ და იქ საქართველოს კავკასიონის მწვერვალებზე — უშბაზე და შხელდაზე მიიტანენ ეროვნებს.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში შვეიცარიელ ალპინისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა **რენე დიტერმა** თქვა:

— ეს ჩვენი საპასუხო ვიზიტია საქართველოში, შარშან ქართველი მთამსვლელები ალპებში იყვნენ და იქ დავძმობილდით. კავკასიონზე ასვლებისათვის საგანგებოდ ვემზადებოდით, რადგან ვიცით, რომ საქართველო მთამსვლელთა ქვეყანაა, ხოლო მწვერვალი უშბა ულამაზესი და უძნელესი მწვერვალია. იმედი გვაქვს, რომ ქართველ და შვეიცარიელ მთამსვლელთა კავშირი ამით არ ამოიწურება.

ახალგაზრდა ქართველი ველოსიპედისტი ტრეკზე ომარ შხაპაძე ყოველდღიურად იმაღლებს თავის ოსტატობას და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. ახლახან იგი გამარჯვებული გამოვიდა საერთაშორისო შეხვედრაში საბჭოთა და დანიელ ველოსიპედისტთა მატჩში, რომელიც ტულაში გაიმართა.

ჩვენს რესპუბლიკას მეორედ ეწვივნენ იტალიელი კლასიკური სტილით მოჭიდავეები. მათი შარშანდელი გამოსვლა წარუმატებელი იყო, სტუმრები მაშინ დამარცხდნენ — 1:7. მოჭიდავეთა შეხვედრა წელსაც ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ დამთავრდა, ამჯერად მათი უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი იყო — 8:0.

თბილისის დინამოელებმა დიდი მოლოდინის შემდეგ გაიმარჯვეს, მათ დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები — 2:1.

გამოცხადდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის სავარაუდო შემადგენლობა, რომელიც სექტემბერს მოსკოვში შეხვდება იუგოსლავიის პირველ ნაკრებს. სიაში ამჯერად ორი ქართველი ფეხბურთელია — მ. მესხი და ს. მეტრეველი. ვ. ბარძიმა კი თბილისის „დინამოსთან“ ერთად შვეიცარიაში გაემგზავრებიან ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ხმა

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.